PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „აისი“
„ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
ნატა ჩხაიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „აისი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ
საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22 მარტის N279145 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯ "აისში" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ფარმაცია“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა გასაუბრების განრიგი.

განრიგის შესაბამისად 2021 წლის 15-16 აპრილს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ადმინისტრაციასთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრება, დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაციები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი 2

რეკომენდირებულია, შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდეს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ყველა არსებით პირობას, უფრო კონკრეტულად კი წარმოდგენილ ხელშეკრულებებში ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანი „ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით“, ასევე რეკომენდირებულია თითოეულ მასწავლებლის ხელშეკრულებებში ეწეროს რა მოდულებს ახორციელებენ ისინი - გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ინდიკატორი 2

რეკომენდირებულია ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავდეს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობს - გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მითითებულია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით, უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ. დაწესებულების განმარტებით, არსებული ტექნიკური ხარვეზი გასწორებულია, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ორ ადგილას ვხვდებით 120/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით ჩანაწერებს. მაგალითად, ერთი ასეთი ჩანაწერია მარეგულირებელში: „კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;“ - დაწესებულების საქმიანობა უნდა დაეყრდნოს მოქმედ კანონმდებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდირებულია კოლეჯმა შეიმუშაოს მექანიზმები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაწესებულების შიდა აქტების და პროცესების შესაბამისობის დროული უზრუნველყოფისათვის.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.1.1. (3)

პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი ვერ უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის გამტარუნარიანობას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას გაითვალისწინონ დაწესებულების გარემოს შესაძლებლობები და გამტარუნარიანობა.

ქვესტანდარტი 2.1.1. (4)

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი მოიყვანოს შესაბამისობაში მოდულის სწავლის შედეგებთან.

ქვესტანდარტი 2.1.1. (8)

მოდული „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021) დამატებით ჩანაწერებში განხორციელებასთან დაკავშირებით მიდგომებში მითითებულია, რომ დაწესებულებას გეგმავს მოდული სრულად განახორციელოს კოლეჯში. დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული ჩარჩო-დოკუმენტის რეკომენდაცია საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს მოდულის არანაკლებ 1 კრედიტის შესაბამისი ნაწილისა. ექსპერტების აზრით, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის 4 და 5 სწავლის შედეგების სათანადო მიღწევას C გარემოში. დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია, აღნიშნული მოდულის 4 და 5 სწავლის შედეგების განხორციელება მოახდინოს პრაქტიკის ობიექტზე , რომელთა გამხორციელების გამოცდილება და მზაობა აქვთ.

მოდულების ადაპტირებული სარეკომენდაციო ჩანაწერები რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.კერძოდ:

1. მოდულის „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) 1 სწავლის შედეგის თემატიკაში მითითებულია ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას N 282/ნ „აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“;
2. მოდულის „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012) 1,3,4 სწავლის შედეგის თემატიკაში მითითებულია ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 თებერვალი ბრძანება N01-4ნ „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.
3. მოდული „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021) დამატებით ჩანაწერებში განხორციელებასთან დაკავშირებით მიდგომებში მითითებულია, რომ დაწესებულებას გეგმავს მოდული სრულად განახორციელოს კოლეჯში. დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული ჩარჩო-დოკუმენტის რეკომენდაცია -ს აწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს მოდულის არანაკლებ 1 კრედიტის შესაბამისი ნაწილისა. ექსპერტების აზრით, <u>დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის მე-4 და მე-5 სწავლის შედეგების სათანადო მიღწევას C გარემოში.</u> დაწესებულებას ეძლევა <u>სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით</u> რეკომენდაცია, აღნიშნული მოდულის მე-<u>4 და მე-5 სწავლის შედეგების</u> <u>განხორციელება მოახდინოს პრაქტიკის ობიექტზე - შპს „ავერსი-ფარმაში“</u>, რომელთა გამხორციელების გამოცდილება და მზაობაც კომპანიას გააჩნია.

ქვესტანდარტი 2.2.1. (1)

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შეიძინოს და შესაბამისობაში მოიყანოს მატერიალური რესურსი მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობასთან.

ქვესტანდარტი 2.2.1. (3)

პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შეარჩიოს ისეთი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა კომპეტენცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და შეფასების კომპეტენციას.

ქვესტანდარტი 2.4.1. (5)

დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით ეძლევა რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებაში მიეთითოს მოდულის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრული საათები, ასევე დაზუსტდეს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხები. ასევე ხელშეკრულებით ვერ დგინდება პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში მატერიალური რესურსით სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა და გარანტიები, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებას უნდა დაურთოს დანართის სახით მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის შესაბამისად.

ქვესტანდარტი 2.4.1. (6)

C გარემოში არსებული გამწოვი მოწყობილობა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხო გარემოს შექმნას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია C გარემოში უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოს შექმნა, კერძოდ დაამონტაჟონ ისეთი გამწოვი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიურ ლაბორატორიაში მინიმალური უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.1.1.

8. სასწავლო გეგმის შედგენისას სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს დარგის სპეციფიკა და მოდულების ლოგიკური წინაპირობები.

ქვესტანდარტი 2.2.1.

2. დაწესებულებისა ეძლევა რეკომენდაცია შეიმუშაოს პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას აქტივობები: საკონტაქტო საათების ჩატარება; მომზადება მეცადინეობებისთვის; შეფასების ინსტრუმენტების მომზადება და მათი ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა; სტუდენტთა ნაშრომების შემოწმება; პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა; სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობა და სხვა.

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება. შესაბამისად, რეკომენდებულია გაიწეროს აღნიშნული შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში. ექსპერტების მიერ რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელი მეტად ჩაერთოს პროგრამის ადაპტირების, განხორციელების და შეფასების ნაწილში, ასევე გააკეთოს ინიცირება რესურსების (სასწავლო და მატერიალური) მობილიზების/განახლების თვალსაზრისით. აგრეთვე სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელ აქტიურად ჩაერთოს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების საკითხებში და შევასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში;

5.დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები (ნორმატიული აქტები) ხელმისაწვდომი იყოს ავტორიზებული მომხმარებლის სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში; სასწავლო რესურსებად მითითებული ლინკები გადატანილ იქნას ელექტრონულ მატარებლებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. რეკომენდებულია რეგულაციით იკვეთებოდეს, სსსმ პროფესიული სტუდენტების შემთხვევის გარდა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე(მაგ. მობილობის, სტატუსის აღდგების დროს და ა.შ).

5. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ შპს „ავერსი-ფარმა“ს პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგი კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით; პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებაში მიეთითოს მოდულის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრული საათები, ასევე სტუდენტთა შეფასების საკითხები.

6. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია C გარემოში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები და განათავსონ ცეცხლმაქრი; გაწეროს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების მართვისა და დამუშავების სპეციალური წესები. ხელშეკრულება გააფორმოს კომპეტენტურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფთო ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების გატანას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის „აისის“ დირექტორის **2021 წლის 2 მარტის N 02-01-49 ბრძანება**
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	-30 პროფესიული სტუდენტი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი განხორციელების ფორმა: მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	☒
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	☒
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
6. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
7. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
8. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
9. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

კოლეჯის გადაწყვეტილება პროგრამის: „ფარმაცია“ დამატების შესახებ დაფუძნებულია კოლეჯის მიერ 2020 წელს ჩატარებული ბაზრის კვლევას, სადაც გამოიკვეთა რეგიონისთვის საჭირო პრიორიტეტული პროგრამები. კვლევა ჩატარდა კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში (გურჯაანი, საგარეჯო, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყვარელი) კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კახეთის რეგიონის ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის - სატელეფონო გამოკითხვის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა. კვლევების თანახმად ფარმაცევტულ კომპანიებში, რომლებიც ოპერირებენ რეგიონში შეინიშნება კადრების დეფიციტი. მათი დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ამ სფეროში აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება. მათი მხრიდან არის მზაობა პრაქტიკული კომპონენტების ნაწილი გაატარონ რეალურ სამუშაო გარემოში და სწავლის დასრულების შემდგომ დაასაქმონ კურსდამთავრებულები. კოლეჯი „აისი“ კახეთის რეგიონში წარმოადგენს პროფესიული განათლების ყველაზე დიდ პროვაიდერს და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებშიც (გურჯაანი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროგრამების განხორციელებას, რომელზეც არის მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამტკიცებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, სსიპ კოლეჯის ,,აისი დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N02-01-27 ბრძანებით აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურას. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

კოლეჯს დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - რომლის მიხედვითაც დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი,ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში); დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა; ე) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი; ვ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობა; ზ) პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტის საფუძლეზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტების მიერ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს ერთი AC გარემო, რომელიც გაყოფილია, ე.წ. „ზონირების“ პრინციპით, სადაც ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის არის გამოყოფილი ადგილი 14 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო თეორილი კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელებისთვის - 15 პროფესიული სტუდენტისათვის. ვინაიდან ეს აუდიტორია იზოლირებული არ არის ერთდოულად/პარალელურად 2 ჯგუფისთვის მეცადინეობის ჩატარება არ არის შესაძლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება გეგმავს ჩაატაროს მეცადინეობა 2 ჯგუფისთვის ცვლებში, დატვირთვის 30-30 საათი კვირაში. სასწავლო გეგმის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში აჭარბებს აღნიშნულ 30 საათს, კერძოდ პირველი სასწავლო წელი: 23 და 34 კვირა - 33 საათი, 35 კვირა - 31 საათი, 39 საათი - 33,5 საათი. მეორე სასწავლო წელი - 22 კვირა - 32 საათი, 32 კვირა - 32 საათი, 38 კვირა -31 საათი, 39 კვირა - 32 საათი. ამრიგად, პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი ვერ უზრუნველყოფს ორი ჯგუფის გამტარუნარიანობას. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია, ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას გაითვალისწინონ დაწესებულების გარემოს შესაძლებლობები და გამტარუნარიანობა. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაცია შპს „ავერსი-ფარმასთან“სთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (№6 24/02/2021), რომლის მიხედვითაც შპს „ავერსი-ფარმა“ აღნიშნული ხელშეკრულებით უზრუნველყოფს, პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლებას სამუშაოს შესრულების პროცესში (თითოეულ მიღებაზე 15 სტუდენტის რაოდენობით). **შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას არ განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები, ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

I. მოდულებში „ანალიზური ქიმიის საფუძვლები“ (0911003) მითითებული საგანმანათლებლო რესურსით:

1. ანალიზური ქიმია, ქ. გრიგალაშვილი, ე. კაკაბაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2010 წელი
   <u>აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსით ვერ მიიღწევა მოდულების სტანდარტულ ნაწილში მითითებული მე-6 პრაქტიკული სწავლის შედეგი. ვინაიდან არ არის მითითებული ლაბორატორიული მეცადინეობისთვის პრაქტიკუმ(ებ)ი/ლაბორატორიული სახელმძღვანელო(ები).</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. მოდულში „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ (0911010) მითითებული რესურსით:

1. უჯრედის მოლეკულური ბიოლოგია, ნინო ხვიტია, მანანა ფრუიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 2020წელი
2. ჰისტოლოგია, მეორე გამოცემა, რუსუდან რუხაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 2009 წელი
3. გენეტიკა სამედიცინო სპეციალობების სტუდენტებისა და პრაქტიკოსი ექიმებისათვის, კარენ ვიკონდი, სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება

ზ/აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსებით <u>სრულად ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული მე-4,5 სწავლის შედეგი.</u>

III. მოდულში „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) მითითებულის საგანმანათლებლო რესურსით :

1. ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტი, ნინო ნემსიწვერიძე 2008 წელი
2. მედიცინა და ფარმაცია ხატოვან აზროვნებაში, ვლადიმერ მახარაძე, თბილისი 2013 წელი
3. ფარმაცია, ვლადიმერ მახარაძე, თბილისი 2011 წელი
4. კლინიკური ფარმაცია ფარმაკოთერაპიით, თამარ კეზელი, თბილისი, 2001წელი
5. ფარმაცევტული ზრუნვა, თამაზ ჭუმბურიძე, ნინო ნემსიწვერიძე, დიანა შუბითიძე, თბილისი 2019წელი

<u>სრულად ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული 1 სწავლის შედეგი,</u> ვინაიდან, არ არის მითითებული მოქმედი საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“;

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №335, 2019 წლის 16 ივლისი, ქ. თბილისი, ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე;

3. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბერის №176 დადგენილება „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №575, 2014 წლის 29 სექტემბერი ქ. თბილისი, ტექნიკური რეგლამენტი - „აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №206, 2017 წლის 25 აპრილი, ქ. თბილისი „ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ“.

6.საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №465/ო 1999 წლის 29 ნოემბერი, ქ. თბილისი, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ

7.საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-53/ნ 2014 წლის 18 ივლისი, ქ. თბილისი, მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ

IV. მოდულში „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012) მითითებული საგანმანათლებლო რესურსით:

1. სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა, შალვა გრძელიშვილი, თბილისი, 2006 წელი
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 თებერვალი ბრძანება N01-4ნ „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

<u>სრულად ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული 1,3,4 სწავლის შედეგები,</u> ვინაიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 თებერვალი ბრძანება N01-4ნ „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ არის ძალადაკარგული <u>და მის ნაცვლად არ არის მითითებული მოქმედი საკანონმდებლო აქტი,</u> კერძოდ საქართველოს მთავრობის დადგენილება №166, 2015 წლის 20 აპრილი, ქ. თბილისი, „ტექნიკური რეგლამენტის - ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

V. მოდულში “ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები” (0911013) მითითებული საგანმანათლებლო რესურსით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. ორგანული ქიმია, ბადრი არზიანი, ინტელექტი თბილისი 2014;

ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული 1,2,3,4,5,6, სწავლის შედეგები და ნაწილობრივ მიიღწევა 8 და 9 სწავლის შედეგები. ვინაიდან არ არის მითითებული ლაბორატორიული მეცადინეობისთვის პრაქტიკუმები/ლაბორატორიული სახელმძღვანელოები და არ არის შესაბამისი სახელმძღვანელოები ზოგად და არაორგანულ ქიმიაში.

VI. მოდულში „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021) - მითითებულ საგანმანათლებლო რესურსით:

1. ჰიგიენა და სამედიცინო ეკოლოგია, ნინო ვეფხვაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი 2019წელი
2. ორგანული ქიმია, ბადრი არზიანი, ინტელექტი თბილისი 2014
3. ეკოლოგიური ქიმია, ბადრი არზიანი, ლიანა გოგუა, გიორგი ლეკიშვილი, გამომცემლობა „ინტელექტი“ 2019წელი
4. http://www.mascavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=9&id=14
5. http://www.oc-praktikum.de/nop/ka-techniques
6. http://www.oc-praktikum.de/nop/ka/articles/pdf/WasteTreatmentDisposal_ka.pdf
7. http://www.trainerguide.eu/
8. http://www.unece.org/trans/danger/publi/ghs/pictograms.html
9. http://echa.europa.eu/chemicals-in-our-life/clp-pictograms

სრულად ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული 1 სწავლის შედეგის სტანდარტულ ნაწილში ფარმაცევტულ დაწესებულებაში/ქიმიურ ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები.

VII. მოდულში „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (0911005) - მითითებულ საგანმანათლებლო რესურსით:

1. სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა, შალვა გრძელიშვილი, თბილისი, 2006 წელი
2. ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტი, ნინო ნემსიწვერიძე 2008 წელი
3. ფარმაცევტული ზრუნვა, თამაზ ჭუმბურიძე, ნინო ნემსიწვერიძე, დიანა შუბითიძე, თბილისი 2019წელი

ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული 1 სწავლის შედეგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ფლობს აღნიშნული სწავლის შედეგისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურს, რომელიც ონლაინ გასაუბრებისას დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა, მაგრამ მოდულში ის ასახული არ არის.

VIII. მოდულში „სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია“ (0911016) - მითითებულ საგანმანათლებლო რესურსით:

1. კლინიკური ფარმაკოლოგია (სამკურნალო მცენარეების ფიტო პრეპარატებით) სახელმძღვანელო პრაქტიკოსი ექიმებისათვის და სტუდენტი - მედიკოსებისათვის. გივი თურმანაული, თბილისი 2009 წელი
2. ძირითადი სამკურნალო და ადიოვანსური მოქმედების კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფის პრეპარატები, გივი თურმანაული, ნიკო გონგაძე, გამომცემლობა „ცისნამი“ 2006 წელი
3. ფარმაკოლოგია, დ.ა. ხარკევიჩი, თბილისი 2008 წელი
4. სამედიცინო ფარმაკოლოგია, გივი თურმანაული, ტომი პირველი, „ცის ნამი“ 2006 წელი
5. სამედიცინო ფარმაკოლოგია, გივი თურმანაული, ტომი მესამე, „ცის ნამი“ 2006 წელი
6. კლინიკური ფარმაცია ფარმაკოთერაპიით, თამარ კეზელი, თბილისი, 2001წელი
7. სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია, მ. ღუდუშაური, გამომცემლობა განათლება, თბილისი 2011 წელი

<u>ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული 1,2,3 სწავლის შედეგი,</u>

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ფლობს აღნიშნული სწავლის შედეგებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურს, რომელიც ონლაინ გასაუბრებისას დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა, მაგრამ მოდულში ის ასახული არ არის.

IX.აგრეთვე ყურადსაღებია, ფაქტი რომ მოდულებში: „მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება“ (0911011); „სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება“ (0911022); „სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1“ (0911019); „სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2“ (0911020), „სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული“ (0911018), „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012), „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) <u>არ არის მითითებული სავალდებულო</u> <u>საგანმანათლებლო რესურსი</u> - „სახელმწიფო ფარმაკოპეა I“, თბილისი 1998 და „სახელმწიფო ფარმაკოპეა II“, თბილისი 2003, რომელიც უზრუნველყოფს მოდულების სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას. <u>ზემოთ აღნიშულიდან გამომდინარე, ჩამოთვლილ მოდულებში სავალდებულო მითითებული საგანმანათლებლო რესურსებით, სწავლის შედეგი ვერ მიიღწევა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამის დანართში მითითებული რესურსები ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი საკმარისი რაოდენობით, ხოლო რიგი რესურსი დაწესებულებაში დათვალიერების დროს ვერ იქნა წარმოდგენილი, დეტალური ინფორმაცია იხ 2.2.1 ინდიკატორის აღწერით ნაწილში. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის გათვალისწინებული რესურსები მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი მოიყვანოს შესაბამისობაში მოდულის სწავლის შედეგებთან.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N118/ნ ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ „აისის“ წესდება, რომლითაც ირკვევა, რომ დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს - ბრძანებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესისა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის დასახელება „ ფარმაცია“ - ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy 09110-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (120 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 150 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, მოდულები და სასწავლო გეგმა.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა, მოდულების დამატებითი სარეკომენდაციო ჩანაწერები და დადგინდა, რომ <u>ადაპტირებული სარეკომენდაციო ჩანაწერები რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას,</u> კერძოდ:

1. მოდულის „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) 1 სწავლის შედეგის თემატიკაში მითითებულია ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას N 282/ნ „აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“;
2. მოდულის „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012) 1,3,4 სწავლის შედეგის თემატიკაში მითითებულია ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 თებერვალი ბრძანება N01-4ნ „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.
3. მოდული „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021) დამატებით ჩანაწერებში განხორციელებასთან დაკავშირებით მიდგომებში მითითებულია, რომ დაწესებულებას გეგმავს მოდული სრულად განახორციელოს კოლეჯში. დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული ჩარჩო-დოკუმენტის რეკომენდაცია -ს აწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს მოდულის არანაკლებ 1 კრედიტის შესაბამისი ნაწილისა. ექსპერტების აზრით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის მე-4 და მე-5 სწავლის შედეგების სათანადო მიღწევას C გარემოში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია, აღნიშნული მოდულის მე-4 და მე-5 სწავლის შედეგების განხორციელება მოახდინოს პრაქტიკის ობიექტზე - შპს „ავერსი-ფარმაში“, რომელთა გამხორციელების გამოცდილება და მზაობაც კომპანიას გააჩნია.

ექსპერტების მიერ აგრეთვე შესწავლილ იქნა, სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოდულებით გასათვალისწინებელ წინაპირობებს, თუმცა **ლოგიკური წინაპირობები, რიგ შემთხვევებში გათვალისწინებული არ არის,** მოდული „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) სასურველია განხორციელდეს მოდულების „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012) და „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“ (0911014) განხორციელებამდე ან მათ პარალელურად; მოდულები „ფარმაკოლოგია“ (0911024) ან/და „სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული“ (0911018) სასურველია განხორციელედეს მოდული „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ (0911006) განხორციელებამდე ან მის პარალელურად.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ადაპტირებული სარეკომენდაციო ჩანაწერები მოიყვანოს შესაბამისობაში მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგებთან.

სასწავალო გეგმაში მოდული „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“ (0911014) 100 საათის ნაცვლად მითითებული საათების ჯამი შეადგენს 102 საათს. **სასწავლო გეგმის შედგენისას დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა.** დაწესებულებამ სასწავლო გეგმაში გაასწორა მითითებული საათები და წარმოადგინა N 02-01-99 ბრძანება (N 02-01-49 ბრძანებაში ცვლილება) ჩასწორებული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „აისის“ მისია;
- სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- წესდება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
- სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
- დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ კოლეჯ „აისს“ ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს შემდეგი გარემოები: B სასწავლო გარემო(ინფორმაციული წიგნიერების მოდულისათვის) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 15 და A/C გარემო, რომელიც არის ერთ სივცეში განთავსებული, ერთი შესასვლელი კარით, აღნიშნული სივრცე გაყოფილია ორ ნაწილად ნახევრად დახურული შიდა ტიხარით, A გარემოს ნაწილში არის 15 პროფესიული სტუდენტისათვის სამუშაო ადგილი, ხოლო C გარემოს ნაწილში არის სპეციფიკური სამუშაო ადგილი 14 პროფესიული სტუდენტისათვის, თუმცა აღნიშნულ გარემოში ისეა განთავსებული სამუშაო მაგიდები და სკამები, რომ შეუძლებელია მათ შორის გავლა, გარემოს სპეციფიკის და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით აუცილებელია სამუშაო მაგიდებს შორის სამოძრაო ადგილის დატოვება, რათა გაუთვალისწინებელი უბედური შემთხვევის დროს დაზარალებულმა პროფესიულმა სტუდენტმა ან მასწავლებელმა შეუფერხებლად შეძლოს სივრცის დატოვება/ან/და თავისუფლად გადაადგილება. აღნიშნულიდან გამომდინარე A/C გარემოში მხოლოდ 7 პროფესიული სტუდენტის განთავსებაა შესაძლებელი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია “ განხორციელებისთვის მითითებული მატერიალური რესურსის ნაწილი, ვიზუალური დათვალიერებიასას ფიზიკურად დაწესებულებაში არ აღმოჩნდა, კერძოდ: საწოვარა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(მატყუარა) ლატექსი -1 ცალი, საწოვარა (ბოთლის) ფაფის-1 ცალი, სახის ლოსიონი(ტონიკი) თვალის -1 ცალი, შრატი თმის -1 ცალი, დეპილაციის ქაფი -1 ცალი, დეპილაციის ცვილი -1 ცალი, თერმომეტრი (ოთახის) ელექტრო -2 ცალი, უჯრედების მიკროპრეპარატების,უჯრედების დაყოფის მიკროპრეპარატები, ქსოვილების მიკროპრეპარატების კომპლექტები- თითო - თითო ცალი, ქიმიური თერმომეტრების ნაკრები - 1 კომპლექტი. აგრეთვე ორი მოდულის ფარგლებში „მყარი და რბილი წამლისფორმების მომზადება“ (0911011) და სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება“ (0911022) პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭიროა შევსებული რეცეპტების ნიმუშები 45-45 ცალი, რაც <u>დაწესებულებას არ აქვს.</u> აგრეთვე, პროგრამით გათვალისწინებული რეკომენდებული მატერიალური რესურსი - ხელის სასწორი 2 გრ და 5 გრ რაოდენობით 5-5 ცალი , დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის ჩამონათვალის ფორმაში. თუმცაღა დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას ვიზუალურად წარმოადგინეს აღნიშნული რესურსი რაოდენობით 3-3 ცალი, რაც <u>არ არის საკმარისი.</u> აგრეთვე ოთახის თერმომეტრი (ვერცხლისწყლის/სპირტის) დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის ჩამონათვალის ფორმაში საკმარისი რაოდენობით, თუმცაღა დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას ვიზუალურად წარმოადგინეს აღნიშნული რესურსი რაოდენობით 1 ცალი, რაც <u>არ არის საკმარისი.</u>

დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან, რომლის ფარგლებშიც შპს „ავერსი-ფარმას“ს სააფთიაქო ქსელი იღებს ვალდებულებას პროგრამით გათვალისწინებული 7 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების განხორციელებას:

1. მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება;
2. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
3. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში;
4. მომხმარებლისათვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
6. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;
7. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;

ექსპერტთა მიერ შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ: პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ახლავს მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ვინაიდან დისტანციურად ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის მატერიალური რესურსის დათვალიერება და არც შესაბამის ხელშეკრულებების დანართში არ იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაწერილი იმ რესურსის ჩამონათვალი რითაც შეეძლოთ სარგებლობა სტუდენტებს, შესაბამისად ვერ დასტურდება პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში იმ მატერიალური რესურსით სარგებლობის გარანტიები, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მიღწევისთვის. გასაუბრება მოხდა პრაქტიკის ობიექტის 2 წარმომადგენელთან, რომელთაც სიტყვიერად დაუდასტურეს ექსპერტებს, რომ სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტებს მატერიალური რესურსით, თუმცა ვერ განუმარტეს ექსპერტებს, კონკრეტულად თუ რა მატერიალური რესურსის გამოყენებას შეძლებდნენ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე. <u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 გათვალისწინებით. ვინაიდან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ განხორციელებისთვის მითითებული მატერიალური რესურსი არ არის საკმარისი რაოდენობით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიძინოს და შესაბამისობაში მოიყანოს მატერიალური რესურსი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე ვინაიდან ხელშეკრულებით ვერ დგინდება პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში მატერიალური რესურსით სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა და გარანტიები, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებას უნდა დაურთოს დანართის სახით მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა ფარმაცია პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლების კვირეული დატვირთვა, რაც არ აღემატერა კანონმდებლობით განსაზღვრულ 40 საათს. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ყავს სულ 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი მოდულებისათვის 6. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; ხელშეკრულებების გადამოწმების დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ პროგრამის განხორციელებაში ჩართული რამოდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელი (თ.ა., თ.პ., მ.ზ., მ.ღ., ნ.ნ., ნ.ტ., ს.ლ., ქ.ფ.) პარალელურ რეჟიმში ჩართულები არის დაწესებულების სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაშიც (საექთნო საქმე, კომპიუტერული ქსელები და სისტემები). ექსპერტების მიერ, მოძიებულ ვერ იქნა ინფორმაცია აღნიშნული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვირეული დატვირთვის შესახებ რამოდენიმე პარალელურად მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. დაწესებულებამ ინტერვიურებისას განმარტა, რომ მათი საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, თუმცა დაწესებულებამ აღნიშნული ვერ წარმოადგინა არგუმენტირებული, დასაბუთებული წერილიბითი სახით. ექსპერტთა მიერ <u>დაწესებულებისა ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია შემუშავდეს პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას აქტივობები: საკონტაქტო საათების ჩატარება (მათ შორის პარალელურად რამოდენიმე პროგრამის ფარგლებში); მომზადება მეცადინეობებისთვის; შეფასების ინსტრუმენტების მომზადება და მათი ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა; სტუდენტთა ნაშრომების შემოწმება; პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა; სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობა და სხვა.</u>

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები. პროგრამის განხორციელების მდგრადობის დასადგენად ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ <u>**პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას,**</u> კერძოდ:

- მოდულის <u>**„მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ (0911010)**</u> განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელებს არ გააჩნია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება დარგში (მასწავლებელი ნ.ს. - კვალიფიკაცია „ფარმაცევტი“);
- მოდულის <u>**„ბიოქიმია“ (0910919) “**</u> განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელებს არ გააჩნია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება დარგში (მასწავლებელი ს.ლ. - კვალიფიკაცია „ქიმიკოსი“).

ექსპერტთა შეფასებით, ვინაიდან აღნიშნული პირებს <u>არ უდასტურდებათ მისაღწევი სწავლის შედეგების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად ისინი ვერ ჩაერთვებიან აღნიშნული მოდულების განმახორციელებლებად.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების მხრიდან გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შეარჩიოს ისეთი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა კომპეტენცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და შეფასების კომპეტენციას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან განხორციელდა გასაუბრება, მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში .

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, რომელმაც გამოთქვა მზაობა კოორდინაცია გაუწიოს პროგრამის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე. პროგრამის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე გამოიკვეთა მისი ნაკლები ჩართულობა ადაპტირების და რესურსებით უზრუნველყოფის ნაწილში, შესაბამისად სასურველია ის უფრო აქტიურად ჩაერთოს პროგრამის შემუშავების საქმეში და ყურადღება მიაქციოს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენას. აგრეთვე სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელ აქტიურად ჩაერთოს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების საკითხებში და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება. შესაბამისად, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია გაიწეროს აღნიშნული შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მასწავლებლებისთვის ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.
<u>მოდულებში სასწავლო რესურსებად ასევე მითითებულია ლინკები , რომელთა გადამოწმების დროს არ აღმოჩნდა შესაბამისი რესურსები, ვინაიდან არ არის სანდო და სასურველი რესურსი შეიძლება ვეღარ მოიძებნოს მითითებულ ლინკზე, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, არსებული მასალის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანასთან დაკავშირებით. დაწესებულებას ეძლევა განვითარების მიზნით რეკომენდაცია მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები (ნორმატიული აქტები) კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომი გახადოს ავტორიზებული მომხმარებლის სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში, გააფორმოს მასთან თანამშრომლობის მემორანდუმი.</u>

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯს გაწერილი აქვს სსსმ სტუდენტებისათვის სასწავლო მასალების ადაპტირების მექანიზმი. კოლეჯის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებების მიხედვით და შესაბამისად, მათ შეუძლიათ დაუბრკოლებლად ისარგებლონ სასწავლო რესურსებით. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს კოლეჯს სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას; სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები. მაგ: მოდულებში მითითებულია, რომ სსსმ პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების მოდიფიკაცია, რაც ნიშნავს სწავლის შედეგების ცვლილებას. თუ სწავლის შედეგები შეიცალა, მაშინ ამან შესაძლოა გამოიწვიოს სასწავლო რესურსების ცვლილებაც, მაგ: მათი გამარტივება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია „ფარმაცია“ პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრირების ხარჯს,პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯებს, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა რენტაბელობის ზღვარს აღემატება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- დაწესებულების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- რესურსების შესყიდვის ხელშეკრულებები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივლისის N02-01-139 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ კოლეჯის „აისის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა განხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა), სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით და დაეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს,რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების/ მსმენელების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით, ასევე დაინტერესებული მხარეების (შიდა, გარე) გამოკითხვების ჩატარებას რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. კითხვარების ნაწილს ახლავს ინსტრუქცია. კითხვარები მოიცავს ღია და დახურულ კითხვებს. დაწესებულებაში დაგეგმილია გამოკითხვების ანალიზის შედეგების შეჯამების შედეგების გათვალისწინებით პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების - განვითარების გეგმების/სათანადო რეკომენდაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემუშავება. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით ირკვევა, რომ განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

სსიპ კოლეჯის ,,აისი დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N02-01-27 ბრძანებითაქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ამ წესის თანახმად პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე)ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის ან/და მატერიალური რესურსის ელექტრონული ვერსია, რომელშიც კომენტარების სახით აღნიშნულია ინიციატორის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები. პროგრამაში ცვლილების შეტანა მისი განვითარების ან/და ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით შესაძლებელია როგორც განხორციელების ეტაპზე, ასევე დასრულების შემდეგ. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება. ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. შესაბამისად დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმებით მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ არის 40 საათზე მეტი.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით. სასწავლო კვირა განისაზღვრება 5 კალენდარული დღით (შაბათი და კვირა – დასვენება). საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე, შაბათი და კვირა, როგორც სასწავლო დღე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების სპეციალისტის/ების მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვათა შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/ები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება (გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ.). შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. შესაბამისად, დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად ასევე განიხილება აღნიშნული შემთხვევაც, როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

<u>შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია რეგულაციით იკვეთებოდეს, სსსმ პროფესიული სტუდენტების შემთხვევის გარდა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე(მაგ. მობილობის, სტატუსის აღდგების დროს და ა.შ).</u>

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

კოლეჯში პროგრმის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება (№6 24/02/2021) შპს „ავერსი ფარმა“ -სთან. ხელშეკრულების მიზანია მხარეთა ერთობლივი საქმიანობით კოლეჯის ფარმაცევტული სპეციალობის სტუდენტთა ხელშეწყობა. „კოლეჯის“ და „კომპანიის“ ერთობლივი საქმიანობის სფერო და მოცულობა განისაზღვრება ურთიერთთშეთანხმების საფუძველზე, რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის ფარმაცია პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის 7 პროფესიული მოდულის (შეთანხმებაში ჩამოწერილია მოდულების დასახელებები) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასებაზე პასუხისმგებელია კოლეჯი, თუმცა გასაუბრებისას დაწესებულების და პრაქტიკის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, რომ სტუდენტთა შეფასება განხორციელდება აფთიაქში, ხელშეკრულებაში ვინაიდან არ არის მითითებული მოდულების კონკრეტულად პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელებაზე რამდენ საათზე იღებს შპს „ავერსი ფარმა“ ვალდებულებას. შპს „ავერსი-ფარმას“ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ასევე დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში მონაწილეობას მიიღებს 2 აფთიაქი საგარეჯოში და 2 აფთიაქი გურჯაანში. აგრეთვე კომპანია უახლოეს მომავალში (ერთი კვირის ვადაში) გეგმავს ქალაქ გურჯაანში კიდევ ერთი აფთიაქის გახსნას. კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა,რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ქ. თბილისის აფთიაქებში. შპს „ავერსი-ფარმას“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ აფთიაქები სტუდენტებს მიიღებენ 2 ცვლაში. სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა არის 5. ამრიგად პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი მაქსიმალური დატვირთვისუნარიანობა არის 4 აფთიაქი * 5 სტუდენტზე = 20 სტუდენტი ერთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო წელს და შესაბამისად, მეორე სასწავლო წლისთვის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დაჯამებული რაოდენობა განისაზღვრება - 40 -ით, რაც მოდის შესაბამისობაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კვიტასთან -30 სტუდენტი. <u>დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებაში მიეთითოს მოდულის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრული საათები, ასევე დაზუსტდეს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხები . ვინაიდან ხელშეკრულებით ვერ დგინდება პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში მატერიალური რესურსით სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა და გარანტიები, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებას უნდა დაურთოს დანართის სახით მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი არ ხორციელდება მინიმალური უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, კერძოდ C გარემოში დამონტაჟებული გამწოვი მოწყობილობა, ცდის ჩატარების პროცესში (კერძოდ, აირადი ნივთიერებების, ორთქლის, შეწონილი ნაერთების, მავნე, მომწამლავ და მბოლავ, ადვილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობისას) ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის მინიმალური უსაფრთხო გარემოს შექმნას. ვინაიდან აღნიშნული ამწოვი მოწყობილობა არ არის სრულად იზოლირებული შესაბამისად მოძრავი „ფანჯრით/ეკრანით“, რომელიც მუშობის დაწყებამდე და დასრულებისთანავე უნდა იყოს სრულად დახურული, ხოლო მუშაობის პროცესში ღია 1/3 და არა მუდმივად ღია. C გარემოში არსებული გამწოვი მოწყობილობა ვერ უზრუნველყოფს სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის მინიმალურ უსაფრთხო გარემოს შექმნას. ვინაიდან C გარემოში არ იყო გამოკრული უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები ასევე არ იყო განთავსებული ცეცხლმაქრი, ექსპერტთა მხრიდან დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია C გარემოში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები და განათავსონ ცეცხლმაქრი, ასევე გაწეროს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების მართვისა და დამუშავების სპეციალური წესები. ხელშეკრულება გააფორმოს კომპეტენტურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფთო ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების გატანას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ნორმები .
- დამტკიცებული პროგრამა, დანართებით;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
- დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციით გაწერილია შეფასებისა და გასაჩივრების წესი. აღნიშნული რეგულაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის პირობები. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, რა ვადებში ხდება შეფასება და უწყისში ასახვა. კერძოდ, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემით გათვალისწინებულია შემდეგი: სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, შესაბამის შეფასების ინსტრუმეტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულზე სწავლის დაწყებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე. შეფასების ინსტრუმენტით შეიძლება შეფასდეს ერთი ან რამდენიმე სწავლის შედეგი. შეფასების ინსტრუმეტი, შეთანხმების მიზნით ხელმოსაწერად გადაეცემა სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს/ებს შედეგის შეფასების ჩატარებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე. არასრულყოფილი სტრუქტურის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესასწორებლად უბრუნდება ინსტრუმენტის შემმუშავებელს. ინსრუმენტი უნდა შესწორედეს ერთი დღის ვადაში. შეფასების სქემას სტუდენტს აცნობს მოდულის განმახორციელებელი პირი მოდულის განხორციელების პირველივე დღეს, ხოლო შეფასების თარიღს და დროს -შეფასების ჩატარებამდე 5 დღით ადრე. სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურების შესახებ გადაწყვეტილებას მოდულის განმახორციელებელი პირი იმავე დღეს ასახავს შეფასების უწყისის ფორმაში და ერთი დღის ვადაში აცნობს სტუდენტს. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც თანხმდება სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან/ებთან შეფასებამდე სულ მცირე 3 დღით ადრე. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა ერთჯერადად დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა დაუდასტურებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დამატებითი შეფასების შედეგად სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მასწავლებლის მიერ შესაბამისი უწყისის შევსებისთანავე. სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. სტუდენტი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს ქმნის სპეციალურ კომისიას, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების დამატებით უწყისში.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. მისი მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. რეგულაციით გაწერილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები, ვერიფიკაციის ეტაპები და სხვა. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით ირკვევა, რომ შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის ყოველი ეტაპი იქნება დოკუმენტირებული, გაკეთდება ჩანაწერები, რომლის ასლები დაცული იქნება კოლეჯში და საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომი აუდიტისა და გარე ვერიფიკატორებისთვის.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ინახება სასწავლებელში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული პროდუქტი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესაბამისად. დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება უვადოდ კოლეჯში დირექტორის მოადგილესთან სასწავლო და საწარმოო დარგში. დაწესებულების მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების დადასტურების უწყისის ფორმა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით უწყისების სათანადო შენახვასა და რეგისტრაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი/ები.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით
- სსიპ კოლეჯი „აისის" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
- დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	7 პროფესიული სტუდენტი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი განხორციელების ფორმა: მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

PDF Eraser Free

დასაბუთება

სსიპ კოლეჯ „აისს“ ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯის ბაზაზე გამოყოფილი აქვს შემდეგი გარემო: B სასწავლო გარემო(ინფორმაციული წიგნიერების მოდულისათვის) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 15 და A/C გარემო, რომელიც არის ერთ სივცეში განთავსებული, ერთი შესასვლელი კარით, აღნიშნული სივრცე გაყოფილია ორ ნაწილად ნახევრად დახურული შიდა ტიხარით, A გარემოს ნაწილში არის 15 პროფესიული სტუდენტისათვის სამუშაო ადგილი, ხოლო C გარემოს ნაწილში არის სპეციფიკური სამუშაო ადგილი 14 პროფესიული სტუდენტისათვის, თუმცა აღნიშნულ გარემოში ისეა განთავსებული სამუშაო მაგიდები და სკამები, რომ შეუძლებელია მათ შორის გავლა, გარემოს სპეციფიკის და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით აუცილებელია სამუშაო მაგიდებს შორის სამოძრაო ადგილის დატოვება, რათა გაუთვალისწინებელი უბედური შემთხვევის დროს დაზარალებულმა პროფესიულმა სტუდენტმა ან მასწავლებელმა შეუფერხებლად შეძლოს სივრცის დატოვება/ან/და თავისუფლად გადაადგილება. აღნიშნულიდან გამომდინარე A/C გარემოში მხოლოდ 7 პროფესიული სტუდენტის განთავსებაა შესაძლებელი.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

21.05.2021 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: